ხაშურის მოამბე

№21 (443) 10 ივნისი, ორშაბათი, 2024 წელი

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

6 ივნისს, ადმინისტრაციული სახლის სხდომათა დარბაზში, გაიმართა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი. სხდომაზე დეპუტატებმა დაამტკიცეს საკრებულოს 2024 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმა.

ამავე სხდომაზე, საკრებულოს წევრებმა მოისმინეს მერიის ადმინისტრაციული სამსახურის შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების მიერ, 2023 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში, რომელიც წარმოადგინა განყოფილების ხელმძღვანელმა თინათინ ხაჩიძემ. საკრებულოს მიერ, აღნიშნული ანგარიში შეფასდა დადებითად.

სხდომაზე განიხილეს აგრეთვე მიმდინარე პოლიტიკური საკითხები.

ხაშურში აქტიურად მიმდინარეობს „წყალმომარაგებისა და წყალარინების" სისტემების რეაბილიტაციის პროექტი

პროექტის მიმდინარეობასთან დაკავშირებულ სამუშაო შეხვედრას, რომელიც ხაშურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში გაიმართა, ესწრებოდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი, მერის პირველი მოადგილე ზვიად ქურდაძე, ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის სამსახურის ხელმძღვანელი გიორგი პაპიაშვილი, საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიისა და საერთაშორისო ტენდერში გამარჯვებულ კონტრაქტორ თურქული კომპანიის- „JV of YDA Insaat Sanayi Ve Ticaret Anonim Sirketi & Ardem Yapi Gayrimenkul Insaat Taahut Akar. Mad. Tic. A.S" წარმომადგენლები.

აღნიშნული ხასიათის შეხვედრები ინტენსიურად იმართება, რაც გარკვეული დეტალების განხილვასა და პროექტის სათანადოდ განხორციელებას ემსახურება.

შეხვედრები, ასევე, პერიოდულად, იმართება სხვადასხვა ქუჩის მცხოვრებლებთანაც და ხდება მათი მოსაზრებების გათვალისწინება.

აღსანიშნავია ისიც, რომ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა პირებმა, კომპანიის წარმომადგენლებს, სთხოვეს, რაც შეიძლება მეტი ადგილობრივი კადრი ჩართონ პროექტის განხორციელების სამუშაოებში, რაზეც მზაობა მიიღეს.

დღეის მდგომარეობით, ხაშურში წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემები მოძველებულია, რაც ადგილობრივებს პრობლემებს უქმნის. ქალაქს წყალი დღის განმავლობაში რამდენიმე საათით მიეწოდება. მასშტაბური პროექტის დასრულების შემდეგ ქალაქ ხაშურის მოსახლეობის, დაახლოებით 30 000 ადამიანი, 24 საათიანი წყალმომარაგებითა და წყალარინების მოწესრიგებული ინფრასტრუქტურით ისარგებლებს.

ქალაქ ხაშურის წყალმომარაგებისა და წყალარინების" პროექტი ხორციელდება საფრანგეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (AFD) ფინანსური მხარდაჭერით. აღსანიშნავია ისიც, რომ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია დააპროექტებს ქუჩებს და იქ სადაც წყლის პროექტი განხორციელდება, ეტაპობრივად, მოაწესრიგებს საგზაო ინფრასტრუქტურასაც.

ხაშურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში, სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს წარმომადგენლებმა, საინფორმაციო შეხვედრა გამართეს

შეხვედრაზე აუდიტორიას მიაწოდეს ინფორმაცია, პროფესიული გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის შესახებ, რომელთა მიზანია შრომის ბაზრის მოთხოვნად პროფესიებში სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება, პროფესიული გადამზადება. სამუშაო ადგილებზე შემდგომი სტაჟირებითა და საკვანძო კომპეტენციების განვითარებით მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლება და, ამ გზით, სამუშაოს მაძიებელთა დასაქმების ხელშეწყობა.

დასაქმების ხელშეწყობის და სახელმწიფო სააგენტოს სერვისებსა და პროგრამებში ჩართვა უფასოა!

დეტალური ინფორმაცია განთავსებულია ბმულზე: infosesa@moh.gov.ge.

ხაშურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში გამართულ შეხვედრას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურისა და მერის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში, რომლებიც, თავის მხრივ, სხვადასხვა თემებში გაავრცელებენ სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს მიერ მოწოდებულ ინფორმაციას.

მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, დღეს ვბეჭდავთ საქართველოს კანონს „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“. ამ კანონის გაცნობის შემდეგ, იმ პერსონებს, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ეს კანონი არ არის ამერიკული, კანადური, ავსტრალიური, ან ფრანგულა(სადაც სამი დღის წინ მიიღეს), ან სულაც „ევროკავშირული“, სადაც უკვე დაინიციირებულია ამ კანონის განხილვა და არის მაინცდამაინც რუსული და ამის შესახებ წარმოგვიდგენს მტკიცედ დასაბუთებულ არგუმენტებს, სიამოვნებით დავუთმობთ ადგილს ჩვენი გაზეთის ფურცლებზე.

საქართველოს კანონი

უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ

მუხლი 1. კანონის მიზანი და მოქმედების სფერო

1. ეს კანონი უცხოური გავლენის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად აწესრიგებს სუბიექტის უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციასა და უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციის საქმიანობის გამჭვირვალობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

2. ეს კანონი არ ზღუდავს მის საფუძველზე უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრირებული სუბიექტის საქმიანობას.

მუხლი 2. უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაცია

1. ამ კანონის მიზნებისთვის უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაცია არის:

ა) ისეთი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არ არის დაფუძნებული, რომელიც არ არის „სპორტის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს ეროვნული სპორტული ფედერაცია ან „ადამიანის სისხლისა და მისი კომპონენტების ხარისხისა და უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული სისხლის დაწესებულება და რომლის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული მთლიანი შემოსავლის 20%-ზე მეტის წყარო უცხოური ძალაა;

ბ) „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული ისეთი მაუწყებელი, რომლის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული მთლიანი არაკომერციული შემოსავლის 20%-ზე მეტის წყარო უცხოური ძალაა;

გ) ისეთი იურიდიული პირი, რომელიც ერთპიროვნულად ან სხვასთან ერთად ფლობს საქართველოში მოქმედ მასობრივი ინფორმაციის ბეჭდურ საშუალებას და რომლის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული მთლიანი არაკომერციული შემოსავლის 20%-ზე მეტის წყარო უცხოური ძალაა;

დ) ისეთი იურიდიული პირი, რომელიც ერთპიროვნულად ან სხვასთან ერთად ფლობს ან/და იყენებს მასობრივი ინფორმაციის საქართველოს სახელმწიფო ენაზე გამავრცელებელი ინტერნეტსაშუალებისთვის განკუთვნილ ინტერნეტდომენს ან/და ინტერნეტჰოსტინგს და რომლის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული მთლიანი არაკომერციული შემოსავლის 20%-ზე მეტის წყარო უცხოური ძალაა.

2. ამ მუხლის მიზნებისთვის შემოსავალი არის ფულადი თანხა ან ქონებრივი ღირებულების სხვა სახის მატერიალური სიკეთე (ნებისმიერი მოძრავი ან უძრავი ნივთი). იმ შემოსავლის ღირებულება, რომელიც არ არის ფულადი თანხა, ამ მუხლის მიზნებისთვის მისი საბაზრო ფასით გამოითვლება.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისთვის მიიჩნევა, რომ იმავე პუნქტით გათვალისწინებულმა შესაბამისმა სუბიექტმა მიიღო შემოსავალი, თუ მას გადაეცა ფულადი თანხა ან იგი გახდა ქონებრივი ღირებულების სხვა სახის მატერიალური სიკეთის (ნებისმიერი მოძრავი ან უძრავი ნივთის) მესაკუთრე ან მოსარგებლე.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისთვის მიიჩნევა, რომ იმავე პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი სუბიექტის მიერ მიღებული შემოსავლის წყარო უცხოური ძალაა, თუ:

ა) აღნიშნულმა სუბიექტმა შემოსავალი უცხოური ძალისგან პირდაპირ ან არაპირდაპირ მიიღო;

ბ) აღნიშნულმა სუბიექტმა შემოსავალი პირდაპირ ან არაპირდაპირ მიიღო იმ იურიდიული პირისგან, რომელმაც შემოსავალი უცხოური ძალისგან პირდაპირ ან არაპირდაპირ მიიღო;

გ) აღნიშნული შემოსავლის წყარო იდენტიფიცირებული არ არის.

მუხლი 3. უცხოური ძალა

ამ კანონის მიზნებისთვის უცხოური ძალა არის:

ა) უცხო სახელმწიფოს ხელისუფლების სისტემის შემადგენელი სუბიექტი;

ბ) ფიზიკური პირი, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე;

გ) იურიდიული პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე არ არის დაფუძნებული;

დ) ისეთი ორგანიზაციული წარმონაქმნი (მათ შორის, ფონდი, ასოციაცია, კორპორაცია, კავშირი, სხვა სახის ორგანიზაცია) ან პირთა სხვა სახის ისეთი გაერთიანება, რომელიც უცხო სახელმწიფოს სამართლის ან/და საერთაშორისო სამართლის საფუძველზეა დაფუძნებული.

მუხლი 4. სუბიექტის უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაცია

1. სუბიექტი, რომელიც აკმაყოფილებს ამ კანონის მე-2 მუხლით უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციისთვის დადგენილ კრიტერიუმებს, ვალდებულია მის მიერ ამ კრიტერიუმების დაკმაყოფილების წლის მომდევნო კალენდარული წლის იანვარში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომ – სააგენტო) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იუსტიციის სახლის მეშვეობით, მატერიალური ფორმით წარუდგინოს წერილობითი განცხადება უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის თაობაზე. ამ შემთხვევაში სააგენტო ვალდებულია 2 სამუშაო დღეში უზრუნველყოს აღნიშნული სუბიექტის სათანადო ვებგვერდზე იმგვარი დაშვება, რომ მან შეძლოს უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის შესახებ განაცხადის (შემდგომ – განაცხადი) ელექტრონულად, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დადგენილი ფორმის დაცვით შევსება და სააგენტოსთვის წარდგენა.

2. სუბიექტი ვალდებულია ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ სათანადო ვებგვერდზე დაშვებიდან 10 სამუშაო დღეში ელექტრონულად, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დადგენილი ფორმის დაცვით შეავსოს და სააგენტოს წარუდგინოს განაცხადი.

3. განაცხადის ავტორი ვალდებულია განაცხადში, რომელიც იმავდროულად მისი საფინანსო დეკლარაციაა, ასახოს შემდეგი ინფორმაცია (არსებობის შემთხვევაში):

ა) განაცხადის ავტორის საიდენტიფიკაციო მონაცემები;

ბ) განაცხადის ავტორის ადგილსამყოფლის მისამართი;

გ) განაცხადის ავტორის ვებგვერდის მისამართი;

დ) ინფორმაცია განაცხადის ავტორის მიერ წინა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული ნებისმიერი ფულადი თანხისა და ქონებრივი ღირებულების სხვა სახის მატერიალური სიკეთის წყაროს, ოდენობისა და მიზნის შესახებ;

ე) ინფორმაცია განაცხადის ავტორის მიერ წინა კალენდარული წლის განმავლობაში დახარჯული ნებისმიერი ფულადი თანხის ოდენობისა და მიზნის შესახებ;

ვ) განაცხადის შევსების თარიღი.

4. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირი ვალდებულია განაცხადის სააგენტოსთვის წარდგენიდან 30 სამუშაო დღეში გამოიკვლიოს და შეისწავლოს ეს განაცხადი. ამ მიზნით ამ პირს უფლება აქვს, კანონის შესაბამისად მოიძიოს საჭირო ინფორმაცია, მათ შორის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მონაცემი, სხვა პერსონალური მონაცემი და საიდუმლოების (გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სახელმწიფო საიდუმლოებისა) შემცველი ინფორმაცია. ყველა ის პირი, ორგანო, ორგანიზაცია, დაწესებულება, რომელსაც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირი მოსთხოვს ამ ინფორმაციის წარდგენას, ვალდებულია დაუყოვნებლივ წარუდგინოს მას თავის ხელთ არსებული აღნიშნული ინფორმაცია. თუ განაცხადის ავტორი აკმაყოფილებს ამ კანონის მე-2 მუხლით უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციისთვის დადგენილ კრიტერიუმებს და განაცხადი სწორად და სრულყოფილად არის შევსებული, სააგენტო ვალდებულია მისთვის განაცხადის წარდგენიდან 30 სამუშაო დღეში დაარეგისტრიროს განაცხადის ავტორი უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად და აღრიცხოს იგი უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრში. თუ განაცხადი არასწორად ან/და არასრულყოფილად არის შევსებული, სააგენტო განაცხადის ავტორს ხარვეზის აღმოსაფხვრელად 10 სამუშაო დღის ვადას განუსაზღვრავს. განაცხადის ავტორი ვალდებულია ამ ვადაში აღმოფხვრას ხარვეზი. თუ განაცხადის ავტორი აკმაყოფილებს ამ კანონის მე-2 მუხლით უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციისთვის დადგენილ კრიტერიუმებს, სააგენტო ვალდებულია აღნიშნული ვადის გასვლიდან 5 სამუშაო დღეში დაარეგისტრიროს განაცხადის ავტორი უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად და აღრიცხოს იგი უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრში.

5. სუბიექტის უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციისა და უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრში აღრიცხვისთვის საფასური არ გადაიხდევინება.

6. სუბიექტის უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციისა და უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრის წარმოების წესებს, აგრეთვე განაცხადის ფორმას ადგენს საქართველოს იუსტიციის მინისტრი.

მუხლი 5. განაცხადის, სხვა სათანადო დოკუმენტებისა და უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრის საჯაროობის უზრუნველყოფა

1. განაცხადი და ამ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული განცხადება საჯაროა. სააგენტო ვალდებულია სუბიექტის უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციისთანავე უზრუნველყოს აღნიშნული სუბიექტის მიერ სააგენტოსთვის წარდგენილი განაცხადის, ამ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული განცხადების, არსებობის შემთხვევაში – აგრეთვე აღნიშნული სუბიექტის მოქმედი წესდების, სხვა სადამფუძნებლო დოკუმენტებისა და საჯარო რეესტრიდან ამ სუბიექტის შესახებ ბოლო ამონაწერის სათანადო ვებგვერდზე განთავსება და საჯაროდ ხელმისაწვდომობა.

2. უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრში შეტანილი ინფორმაცია საჯაროა. სააგენტო ვალდებულია უზრუნველყოს მისი სათანადო ვებგვერდზე განთავსება და საჯაროდ ხელმისაწვდომობა.

მუხლი 6. ყოველწლიური საფინანსო დეკლარაცია

1. უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრირებული სუბიექტი ვალდებულია უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის წლის ყოველი შემდგომი წლის იანვარში ელექტრონულად, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დადგენილი ფორმის დაცვით შეავსოს და სააგენტოს წარუდგინოს საფინანსო დეკლარაცია. ამ სუბიექტმა აღნიშნულ

<u>საქართველოს კანონი</u>

უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ

საფინანსო დეკლარაციაში სწორად და სრულყოფილად უნდა ასახოს ამ კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია (არსებობის შემთხვევაში) მისი სააგენტოსთვის წარდგენის წლის წინა წლის მდგომარეობით. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირი ვალდებულია აღნიშნული საფინანსო დეკლარაციის სააგენტოსთვის წარდგენიდან 30 სამუშაო დღეში გამოიკვლიოს და შეისწავლოს ეს საფინანსო დეკლარაცია. ამ მიზნით ამ პირს უფლება აქვს, კანონის შესაბამისად მოიძიოს საჭირო ინფორმაცია, მათ შორის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მონაცემი, სხვა პერსონალური მონაცემი და საიდუმლოების (გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სახელმწიფო საიდუმლოებისა) შემცველი ინფორმაცია. ყველა ის პირი, ორგანო, ორგანიზაცია, დაწესებულება, რომელსაც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირი მოსთხოვს ამ ინფორმაციის წარდგენას, ვალდებულია დაუყოვნებლივ წარუდგინოს მას თავის ხელთ არსებული აღნიშნული ინფორმაცია. თუ აღნიშნული საფინანსო დეკლარაცია არასწორად ან/და არასრულყოფილად არის შევსებული, სააგენტო მის წარმდგენ სუბიექტს ხარვეზის აღმოსაფხვრელად 10 სამუშაო დღის ვადას განუსაზღვრავს. აღნიშნული სუბიექტი ვალდებულია ამ ვადაში აღმოფხვრას ხარვეზი.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფინანსო დეკლარაცია და მასში ასახული ინფორმაცია საჯაროა. სააგენტო ვალდებულია დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღნიშნული საფინანსო დეკლარაციის სათანადო ვებგვერდზე განთავსება და საჯაროდ ხელმისაწვდომობა.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული საფინანსო დეკლარაციის წარდგენის წესს, აგრეთვე აღნიშნული საფინანსო დეკლარაციის ფორმას ადგენს საქართველოს იუსტიციის მინისტრი.

მუხლი 7. უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრირებული სუბიექტის რეგისტრაციის გაუქმება

1. უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრირებულ სუბიექტს, რომელიც, წინა კალენდარული წლის მონაცემების (გარემოებების) მიხედვით, აღარ აკმაყოფილებს ამ კანონის მე-2 მუხლით უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციისთვის დადგენილ კრიტერიუმებს, უფლება აქვს, ამ კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებული საფინანსო დეკლარაციის სააგენტოსთვის წარდგენისას დასაბუთებული წერილობითი განცხადებით, მატერიალური ფორმით მიმართოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და მოსთხოვოს მისი უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის გაუქმება. ამ შემთხვევაში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირი აღნიშნული საკითხის სათანადო გამოკვლევისა და შესწავლის საფუძველზე 30 სამუშაო დღეში იღებს სათანადო გადაწყვეტილებას. ამ მიზნით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილ პირს უფლება აქვს, კანონის შესაბამისად მოიძიოს საჭირო ინფორმაცია, მათ შორის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მონაცემი, სხვა პერსონალური მონაცემი და საიდუმლოების (გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სახელმწიფო საიდუმლოებისა) შემცველი ინფორმაცია. ყველა ის პირი, ორგანო, ორგანიზაცია, დაწესებულება, რომელსაც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირი მოსთხოვს ამ ინფორმაციის წარდგენას, ვალდებულია დაუყოვნებლივ წარუდგინოს მას თავის ხელთ არსებული აღნიშნული ინფორმაცია.

2. სუბიექტის უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში სააგენტო ვალდებულია ეს სუბიექტი დაუყოვნებლივ ამორიცხოს უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრიდან და სათანადო ვებგვერდიდან წაშალოს აღნიშნულ სუბიექტთან დაკავშირებით ამ კანონის შესაბამისად მანამდე გასაჯაროებული ინფორმაცია და დოკუმენტები.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება საჯაროა და სათანადო ვებგვერდზე ქვეყნდება.

4. უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრირებული სუბიექტის რეგისტრაციის გაუქმების წესს ადგენს საქართველოს იუსტიციის მინისტრი.

მუხლი 8. მონიტორინგი

1. უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციის გამოსავლენად ან ამ კანონის რომელიმე მოთხოვნის შესრულების შესამოწმებლად საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილ პირს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს განახორციელოს მონიტორინგი – საკითხის სათანადო გამოკვლევა და შესწავლა.

2. მონიტორინგის დაწყების საფუძველია:

ა) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილება;

ბ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთვის წარდგენილი წერილობითი განცხადება, რომელიც შეიცავს უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ კონკრეტულ ორგანიზაციასთან დაკავშირებულ სათანადო ინფორმაციას.

3. მონიტორინგის განსახორციელებლად საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილ პირს უფლება აქვს, კანონის შესაბამისად მოიძიოს საჭირო ინფორმაცია, მათ შორის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მონაცემი, სხვა პერსონალური მონაცემი და საიდუმლოების (გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სახელმწიფო საიდუმლოებისა) შემცველი ინფორმაცია. ყველა ის პირი, ორგანო, ორგანიზაცია, დაწესებულება, რომელსაც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირი მოსთხოვს ამ ინფორმაციის წარდგენას, ვალდებულია დაუყოვნებლივ წარუდგინოს მას თავის ხელთ არსებული აღნიშნული ინფორმაცია.

4. ერთი და იმავე სუბიექტის მიმართ მონიტორინგი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ 6 თვეში ერთხელ.

5. თუ მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ სუბიექტი აკმაყოფილებს ამ კანონის მე-2 მუხლით უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციისთვის დადგენილ კრიტერიუმებს, მაგრამ მან უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციას თავი აარიდა, სააგენტო აღნიშნულ სუბიექტს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირის მიმართვის საფუძველზე არეგისტრირებს უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად. უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაცია ამ სუბიექტს არ ათავისუფლებს ამ კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისგან. ამ შემთხვევაში აღნიშნული სუბიექტი ვალდებულია 10 სამუშაო დღის ვადაში ამ კანონის მოთხოვნათა დაცვით შეავსოს და სააგენტოს წარუდგინოს განაცხადი.

6. მონიტორინგის წესს ადგენს საქართველოს იუსტიციის მინისტრი.

მუხლი 9. პასუხისმგებლობა და სამართალწარმოების საკითხები

1. უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციისთვის თავის არიდება ან ამ კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებული საფინანსო დეკლარაციის იმავე მუხლით დადგენილ ვადაში წარუდგენლობა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 25 000 ლარის ოდენობით.

2. ამ კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნის შეუსრულებლობა, ამ კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტით ან მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ხარვეზის აღმოფხვრის ვალდებულების შეუსრულებლობა ან ამ კანონის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული განაცხადის შევსებისა და წარდგენის ვალდებულების შეუსრულებლობა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ქმედების გაგრძელება იმავე ქმედების ჩადენისთვის ბოლოს დადებული ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან 1 თვის განმავლობაში –

გამოიწვევს დაჯარიმებას 20 000 ლარის ოდენობით.

4. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირისთვის მის მიერ ამ კანონის შესაბამისად მოთხოვნილი ინფორმაციის წარუდგენლობა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით.

5. ამ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს განიხილავს, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმს ადგენს და სამართალდამრღვევს შესაბამის ადმინისტრაციულ სახდელს ადებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირი. აღნიშნული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას სამართალწარმოება ხორციელდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსისა და სხვა სათანადო საკანონმდებლო აქტების შესაბამისად.

6. ამ მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის შესაბამისი სუბიექტისთვის დაკისრება არ ათავისუფლებს მას ამ კანონის მოთხოვნათა შესრულებისაგან.

7. ამ მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა შესაბამისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენს შეიძლება დაეკისროს მხოლოდ აღნიშნული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენიდან 6 წლის განმავლობაში.

8. ამ კანონის საფუძველზე ან/და ამ კანონით გათვალისწინებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტის გასაჩივრება მის მოქმედებას არ აჩერებს.

მუხლი 10. გარდამავალი დებულებები

1. ამ პუნქტის ამოქმედებიდან 60 დღის ვადაში:

ა) შესაბამისმა ორგანოებმა/თანამდებობის პირებმა მიიღონ/გამოსცენ ამ კანონის შესასრულებლად საჭირო კანონქვემდებარე აქტები და უზრუნველყონ სათანადო კანონქვემდებარე აქტების ამ კანონთან შესაბამისობა;

ბ) საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ და სააგენტომ განახორციელონ ამ კანონის შესასრულებლად საჭირო წინასწარი მატერიალურ-ტექნიკური და სხვა ღონისძიებები.

2. ამ კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სუბიექტი, რომელიც, 2023 წლის მონაცემების (გარემოებების) მიხედვით, აკმაყოფილებს იმავე მუხლით უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციისთვის დადგენილ კრიტერიუმებს, ვალდებულია ამ პუნქტის ამოქმედებიდან 1 თვის ვადაში სააგენტოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იუსტიციის სახლის მეშვეობით, მატერიალური ფორმით წარუდგინოს წერილობითი განცხადება უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის თაობაზე. ამის შემდეგ ხორციელდება ამ კანონის მე-4 მუხლით განსაზღვრული პროცედურები.

მუხლი 11. კანონის ამოქმედება

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი–მე-9 მუხლებისა და მე-10 მუხლის მე-2 პუნქტისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის პირველი–მე-9 მუხლები და მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-60 დღეს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე
შალვა პაპუაშვილი
თბილისი,
28 მაისი 2024 წ.

100 წელი - 1924 წლის აჯანყებიდან

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ 2024წ.#19,20)

რატომღაც მათ არ სურდათ, დაენახათ, რომ აგვისტოს აჯანყება საერთო-სახალხო აჯანყება იყო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ მიმართული და მას, უბრალოდ, მენშევიკთა ავანტურად მიიჩნევდნენ. ამიტომ ხელისუფლების რისხვაც ხომ ვიღაცას უნდა დასტეხოდა თავს.

გამოსავალიც ადვილად გამოიძებნა.

ლ. ღოღობერიძის მოხსენების ერთ-ერთი ქვესათაური - ,,თავადაზნაურობის შემცირებაა საჭირო“, - იპყრობს ყურადღებას. ვინ, ვინ თუ არა თავადაზნაურობამ, სამღვდელოებამ, ინტელიგენციამ და სხვებმა და სხვებმა უნდა აგონ პასუხი ხალხის წინაშე. ხალხის წინაშე კი არა, ხელისუფლების წინაშე, თუმცა ეს ყველაფერი ხალხის სახელით, მისი ნებით და მოთხოვნით უნდა გაკეთდეს.

,,ამხანაგებო! - ლაპარაკობდა ლ. ღოღობერიძე, - თავადაზნაურობა და სავაჭრო-სამრეწველო კლასი დღემდე ვერ შერიგებია იმას, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ ჩამოართვა მიწები, ფაბრიკები, ქარხნები და რომ ის არ სცნობს მას მშრომელ სახელმწიფოს თანასწორ უფლებიან მოქალაქეებად.

ცხადია, ამიტომაც, რომ ისინი მიისწრაფოდნენ და მიისწრაფვიან ყველა შესაძლებელ საშუალებებით ხელი შეუშალონ ჩვენს მუშაობას. თქვენ იცით ამხანაგებო, რომ საქართველოში 6 პროცენტი თავადაზნაურობაა. ეს არაჩვეულებრივი პროცენტია, რომელიც არცერთ ქვეყანაში არ არის, თუგინდ პოლონეთში, პანების სამეფოშიაც, სადაც თავადაზნაურობის პროცენტი 4 პროცენტს აღწევს.

ჩვენ უნდა შევამციროთ საქართველოში თავად-აზნაურობის პროცენტი“.

,,ჩვენ უნდა შევამციროთ საქართველოში თავად-აზნაურობის პროცენტი!“ - ისროლა ლევან ღოღობერიძემ მსოფლიოსათვის უპრეცედენტო ლოზუნგი ცაკის სესიის ტრიბუნიდან. კი მაგრამ, ვინ უნდა შემცირდეს? ქართველი თავადაზნაურობა?! განა გენერალი თავადი კოტე აფხაზი არ იყო, რომელმაც ქართველ თავადაზნაურთა მთელი ქონება, მთელი მისი ნივთიერი და კულტურული განძეულობა მკვდრეთით აღმდგარ სამშობლოს და მის მთავრობას რომ გადასცა და ოცდაექვსი მაისის საძირკვლად დადო?

მაგრამ ეს აღარავის აღარ ახსოვდა, არც აინტერესებდა ვინმეს. განა თვით კოტე აფხაზი იმავე ხელისუფლებამ 1923 წელს არ დახვრიტა სხვა მრავალ მამულიშვილთან ერთად?

,,ჩვენ უნდა შევამციროთ საქართველოში თავადაზნაურობის პროცენტი!..“

ეს უკვე მარტო ლოზუნგი აღარ იყო, ეს მოქმედებას ნიშნავდა...

კი მაგრამ როგორ, როგორ შეიძლებოდა საქართველოში თავადაზნაურობის პროცენტის შემცირება? - მაინც იკითხავს გაკვივებული მკითხველი.

ლ. ღოღობერიძისა და ხელისუფლების მაშინდელი სხვა ხელმძღვანელებისათვის ეს არც თუ ძნელი გადასაწყვეტი იყო. მათ შესანიშნავად იცოდნენ, რა გზით და საშუალებით შეიძლებოდა ამის განხორციელება. ახლა მთავარი ამ შემთხვევაში ის იყო, რომ ხალხი ადვილად ,,მიხვედრილიყო“ ხელისუფლების გულისწადილს და ხელისუფლებაც არ დააყოვნებდა მათი ,,ნებასურვილის“ აღსრულებას.

აუცილებელი იყო აგრეთვე ადგილობრივი ხელისუფლების მოქნილი მოქმედებაც.ზემოდან დირექტივა დაშვებულია-უნდა შემცირდეს საქართველოში თავად-აზნაურობის პროცენტი. ახლა მათ უნდა ,,წაემუშავებიათ“ ხალხში და რეპრესიებიც მალე ამუშავდებოდა.

უკვე, ცაკის სესიის მეორე დღიდანვე, 3 სექტემბრიდან მთელ საქართველოში იწყება გაუთავებელი მიტინგები. მიტინგები იმართება ქალაქად და სოფლად, ქარხნებსა და ფაბრიკებში...

რატომღაც მიტინგებზე მიღებულ რეზოლუციებს მხოლოდ ერთი ხელწერა ეტყობა, თითქოს ყველა ერთი ხელიდან არის გამოსული, ისე გვანან ისინი ერთმანეთს.

დახვრიტეთ!

დახვრიტეთ!

დახვრიტეთ!

,,გრგვინავს“ ხალხი და მშრომელთა ხელისუფლებამაც უცებ გამონახა გზა და საშუალება, საქართველოში სისხლის მორევის დაყენებისა.

* * *

ხელისუფლების მხრიდან განხორციელებულ მძიმე რეპრესიებს ვერც ხაშური ასცდა. მიუხედავად იმისა, რომ აგვისტოში აქ სიწყნარე სუფევდა და გამოსვლებს ადგილი არ ჰქონია, უფრო მეტიც, ადგილობრივ ხელისუფლებას ,,მოთავებული“ ჰქონდა საქმე ქალაქსა და რაიონში ანტისაბჭოთა პარტიებთან და ძალებთან. ყოფილი მენშევიკები ახლა უკვე თავად გმობდნენ მენშევიკური პარტიის ხელმძღვანელობის საქმიანობასა და მოქმედებას.

ხაშურის რაიონის ხელისუფლებას ჰქონდა რა ინფორმაცია საქართველოში აჯანყების მზადების შესახებ, მისი დაწყებისთანავე აქტიურ ზომებს ღებულობს რაიონში, რაიმე გართულებას ადგილი რომ არ ჰქონოდა. როგორც ხაშურელ რევოლუციონერთა მოგონებებიდან ჩანს, ხაშურიდან შეიარაღებული ძალები მონაწილეობას ღებულობენ ჭიათურაში, საჩხერეში და სხვა ადგილებში ე.წ. მენშევიკების ავანტურის ჩახშობაში.

მოვუსმინოთ თვით ხაშურელ რევოუციონერებს და ადგილობრივი ხელისუფლების ზოგიერთ წარმომადგენელს.

ნიკოლოზ ბაბიაშვილი: ,,1924 წელს, ლაშქარაშვილის და ჩოლოყაშვილის ხელმძღვანელობით, ახალქალაქის მიდამოებში მოახდინეს დარბევა. მე და ჩემი ამხანაგები მათ დასასჯელად მიგვავლინეს. ვიყავით მე, არჩილ წეველიძე, პეტრე ხოლუაშვილი, მიხეილ ბაბიაშვილი, სტეფანე გაგლოშვილი, ალექსანდრე ბიჭიკაშვილი და სხვები. დანიშნულ ადგილზე ჩვენ დავაპატიმრეთ დამრბევნი და გორში ჩამოვიყვანეთ“.

არ არის გამორიცხული, რომ ხაშურელების მიერ დაპატიმრებულებიც იყვნენ იმ 400 კაცში, რომლებიც გორში დახვრიტეს. ვინ იცის. გორში ხომ დახვრეტილ იქნენ ყველანი, ვისი დატუსაღებაც კი მოასწრეს. იოსებ ფანქველაშვილი: ,,1924 წელს აქტიური მონაწილეობა მივიღე მენშევიკების ავანტურის წინააღმდეგ. ძველ პარტიელებთან ერთად, რომლებიც იყვნენ მიხეილ ქიტიაშვილი, მიხეილ ხაჩიძე, მიხეილ გელაშვილი და სხვები, მეც იარაღი მეჭირა ხელში და ვიცავდით ხაშურს ავანტურისაგან. ვიმყოფებოდით სურამის უღელტეხილზე. ვშიშობდით, რომ ავანტურა, რომელიც ჭიათურაში მოაწყვეს მენშევიკების ნაძირალებმა არ გავრცელებულიყო, ამიტომ ყველა მიმართულებით ჩავკეტეთ გზები. მე და ილო მაისურაძემ ღამით შევიპყარით სოფ. ჯაფინაურში მცხოვრები ექთანი ნინა მურვანიშვილი, რომელიც ჭიათურის ავანტურაში ღებულობდა მონაწილეობას”.

ნიკოლოზ ქალიაშვილი: ,,1924 წელს დავალებული მქონდა ავანტურისგან წიფის გვირაბის დაცვა“ .

სიმონ მაისურაძე: ,,1924 წლის აგვისტოს თვეში მომხდარი მენშევიკური ავანტურისტული გამოსვლების დროს, ჩვენი რაიონის (ხაშურის) პარტიისა და კომკავშირის წევრები უნდა გადავსულიყავით საჩხერისა და ჭიათურის რაიონეში, რადგან აღნიშნული რაიონები დროებით ხელთ ჩაიგდეს ავანტურისტებმა. გორის სამაზრო კომიტეტის მაშინდელი მდივნის არჩილ გიორგაძის განკარგულებით ,ატრიადის უფროსად მე დამნიშნეს, ხოლო სამხედრო კომისრად გომის რაიაღმასკომის თავმჯდომარე ალექსანდრე ცხოვრებაშვილი. გადავედით საჩხერისა და ჭიათურის რაიონებში. წითელი არმიის ნაწილებთან ერთად ამოცანა შევასრულეთ, ავანტურა ჩაქრობილ იქნა. დავბრუნდით ალში, სადაც იყო სამხედრო შტაბი, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ სიმონ კაპანაძე (შტაბის თავმჯდომარე), წევრებათ ხაშურლები ისიდორე ლომიძე, სიმონ პაქსაშვილი, დათიკო ლომსაძე, სურამის სამხედრო ნაწილის ერთ-ერთი ოფიცერი და ერთიც პოლიტმუშაკი. ატრიადი განაწილდა ასეულებათ. ერთ-ერთი ასეულის მეთაურად მე დამნიშნეს. ასეულით გამგზავნეს ერთ-ერთ პასუხსაგებ უბანზე. ამოცანა შესრულებულ იქნა, დამთავრდა ყოველგვარი ოპერაციები“.

ხაშურელ რევოლუციონერთა მოგონებებიდან განსაკუთრებით საინტერესოა სიმონ კაპანაძის მოგონებები. იგი ხელმძღვანელობდა ალში შექმნილ შტაბს. მის მოგონებებში, შეძლებისდაგვარად, კარგად არის ნაჩვენები რაიონში შექმნილი ვითარება, კერძოდ, სოფლებში – ალში და წაღვლში დატრიალებული ამბები.

მოვუსმინოთ სიმონ კაპანაძეს: ,,1924 წელს მენშევიკებმა აჯანყება მოაწყეს. ხაშურში შეგვატყობინეს, რომ ჭიათურიდან მენშევიკების დამარცხებული ბანდა მოდის და დააპატიმრეთო. მე შტაბის უფროსად დამნიშნეს და გამომიყვეს ასი შეიარაღებული ჯარისკაცი. გადავედით ალში, სოფლებიდანაც შემოგვიერთდნენ და შტაბის რიცხვი 150-მდე გაიზარდა. სოფელში დავაყენე რაზმი, თან გავაფრთხილე, რომ სოფლის უდანაშაულო ხალხს არ შეჰხებოდნენ. აქ ვნახე ჩემი ამხანაგი ენუქა ქიტიაშვილი და მისი ძმა მელქო. მათ ხშირად ვეკითხებოდი ტუსაღებზე და მავნებლებზე, სანდო ხალხი სხვაც მყავდა. სწორედ ამ დროს შემატყობინეს, რომ წაღვლში მავნებლები დაიჭირეს და უნდა დასაჯონო. წავედი წაღვლში. აქ მე მტირალი ხალხი დამიხვდა, ზოგი შვილს ტიროდა, ზოგი ქმარს, ზოგი ძმას, ზოგი მამას. შევეკითხე სად არიან დაპატიმრებულები-მეთქი. წამიყვანეს ერთ დიდ ბოსელში, სადაც საცოდავად ეყარნენ ჩემი ყოფილი ამხანაგები და ნაცნობები, ჩემი ძველი თანასოფლელები. მე ისინი გავათავისუფლე და უკან დავბრუნდი. ალში ბევრს ვაჩუქე თავისუფლება, რომელთაგან იყვნენ ახალგაზრდები, სტუდენტები და აი ერთხელაც ჩემთან მოხუცი კაცი შემოიყვანეს. იგი მამაჩემის ამხანაგი როსტია ნოზაძე აღმოჩნდა. მან ვერ მიცნო და როცა მე ჩემი ვინაობა ვაცნობე, ძალზე გაეხარდა, ისიც გავანთავისუფლე. ალში ერთ კვირას დავრჩით. არავინ დამისჯია უდანაშაულოდ. ზოგმა არაკომუნისტმა კიდეც დამასმინა, არც თვითონ არავის სჯის და არც ჩვენ გვაძლევს ამის ნებასო, მაგრამ აი რა პასუხი მიიღეს: თქვენ თქვენს საქმეს მოუარეთო.

რამდენიმე ხნის შემდეგ, სამეულიდან საიდუმლო ბრძანება მოვიდა: ადგილობრივ კომუნისტებს გადააბარე ყველაფერი და ხაშურში დაბრუნდიო. მეც ასე მოვიქეცი“.

ასე ახასიათებენ ხაშურელი რევოლუციონერები რაიონში შექმნილ მდგომარეობას. როგორც ვხედავთ, აქ სიწყნარე, სიმშვიდე სუფევს და მთელი ყურადღება რაიონის გარეთ არის გადატანილი.

ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებები, როგორც ჩანს, საკმარისი არ იყო. მთავარი მაინც წინ იყო. ხალხის დაშინების მიზნით, აუცილებელი იყო ასევე ხალხის ,,ნებითა და მოთხოვნით“ განეხორციელებინათ სისხლიანი რეპრესიები, რის შესახებაც სანქცია უკვე გაცემული იყო ზემოდან.

,,ჩვენ უნდა შევამციროთ საქართველოში თავადაზნაურობის პროცენტი!“ საქართველოში და ხაშურშიც დაიწყო აღვირახსნილი სისხლიანი ანგარიშსწორება.

ქართლში საერთოდ და ხაშურის რაიონში, როგორც ეს ხაშურელ რევოლუციონერთა მოგონებებიდანაც ჩანს, აჯანყება არ მომხდარა, სიწყნარე სუფევდა. ,,...გორის მაზრაში, საერთოდ და ხაშურის რაიონში კერძოთ, მენშევიკების გამოსვლის ლანდიც არ ყოფილა...“ - აღიარებდა თვით ოფიციალური პრესაც.

მაგრამ როგორც ჩანს, რაიონში შექმნილი ასეთი სტაბილური მდგომარეობა სრულებით არ ნიშნავდა იმას, რომ აქ სისხლიან ანგარიშსწორებას ადგილი არ ექნებოდა. ზემოდან წამოსული დირექტივა ხელისუფლების წინააღმდეგ მოქმედებაში ოდნავ შემჩნეულების განუკითხავად დასჯას მოითხოვდა, ცხადია, ხაშურიც ვერ ასცდებოდა ამას.

მთელ საქართველოში და მათ შორის ხაშურის რაიონის სოფლებს მოედვნენ როგორც ცენტრიდან, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების მიერ წარგზავნილი აგიტატორები, რომლებიც აწყობდნენ მრავალრიცხოვან მიტინგებს და გლეხებს ,,განუმარტავდნენ“ მიმდინარე მომენტს და მომხდარი აჯანყების შესახებ აწვდიდნენ ინფორმაციას.

,,ამ მიტინგებს აუარებელი ზღვა ხალხი ესწრება ხოლმე. მიტინგებზე გამოაქვთ რეზოლუციები, სადაც მოითხოვენ თავადაზნაურების სასტიკად დასჯას. ზოგან ამასაც არ სჯერდებიან და თავიანთი სამართლით ასამართლებენ თავადებს“.

3 სექტემბერს, ხაშურის რკინიგზის მუშათა კლუბში გაიმართა რკინიგზელების და მუშა-მოსამსახურეთა მიტინგი. ,,ხაშურის მუშა-მოსამსახურეები ავანტურისტების შესახებ“ - ასეთი სათაურით აქვეყნებს წერილს მიტინგზე მიღებულ რეზოლუციას გაზეთი ,,კომუნისტი“. მასში ნათქვამია:

,,სადგურ ხაშურის რკინისგზის და ქალაქ ხაშურის მუშა-მოსამსახურეთა საერთო მიტინგმა, მოისმინა რა მოხსენება მთელი რიგი ამხანაგებისა მიმდინარე მომენტზე და მენშევიკების ავანტურის შესახებ, დაადგინა:

1. ის, რაც მოხდა საბჭოთა საქართველოს ზოგ ალაგას ავანტურისტების ბანდიტურის გამოსვლები, მოხდა მე-2 ინტერნაციონალის დამქაშების, საერთაშორისო შულერების და მუშათა და გლეხთა გამცემლების მენშევიკების ხელმძღვანელობით.

2. მიტინგი მოითხოვს ამ არამზადების წინააღმდეგ იქნეს ხმარებული სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა. მათი მოქმედება არის უსაშინლესი ბნელი კონტრ-რევოლუციური მოქმედება.

3. მიტინგი მოითხოვს საქართველოს კომპარტიის თითოეული წევრის მოკვლისათვის ათეულ და ასეულ ბანდიტის დახვრეტას, რომელ ბანდიტებსაც ხელმძღვანელობს მენშევიკების არალეგალური ცეკა.

4. ჩვენ მოვითხოვთ საბჭოთა ხელისუფლებისაგან, მიიღოს სასტიკი ზომები და აღგავოს საბჭოთა საქართველოს ტერიტორიიდან ყველა ის პირები, რომლებმაც გაბედეს და ბანდიტური გამოსვლებით გამოიწვიეს მშრომელი მასის მყუდრო აღმშენებლობით ცხოვრებაში არევ-დარევაში შეტანა.

5. ჩვენ, როგორც ერთი კაცი, მზად ვართ, იარაღით ხელში დავდგეთ მუშათა კლასის ინტერესების სადარაჯოზე და მტკიცედ დავიცვათ ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვარი.

6. ჩვენ მოვალეთა ვსთვლით ჩვენ თავს, სასტიკი ბრძოლა ვაწარმოვოთ ანაფორიანების, ჩარჩ-ვაჭრების, მემამულეების, ავანტურისტ მენშევიკების გენერლების და სხვა მუქთახორების გამოსვლების წინააღმდეგ.

ძირს ავანტურისტები და კაპიტალისტების დაქირავებულნი!

სიკვდილი მშრომელ ხალხის მყუდრო ცხოვრების დამრღვევთ და ამწიოკებლებს!

შორს ამიერ-კავკასიის საზღვრებიდან მუშათა ყველა მტრები!

ძირს ავანტურისტული პარტია!

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

,,ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო!“ (ფიქრები ჩვენს პარლამენტზე)

გამჭვირვალობის შესახებ ვითომ პრეზიდენტის, სამგლე (უჰ, სალომე ზურაბიშვილის) ვეტოდადებული კანონის, იურიდიული კომიტეტის სხდომაზე განხილვას რომ ვუცქერდი, ერთი ანდაზა გამახსენდა. აი, ეს ანდაზა: ,,ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო!“.

არავითარი განხილვა იქ არ იყო. კანონის მოწინააღმდეგე ოპოზიციონერებს ამ კანონის მიმართ მხოლოდ ერთი ,,შენიშვნა“ ჰქონდათ: ეგ კანონი მავნეაო! რატომ არის მავნეო, - რომ ეკითხებოდნენ, პასუხი ასეთი იყო: ყველა ჩვენმა ევროპელმა პარტნიორმა დაიწუნა და იმიტომო.

რა ფინანსები და რა მიზნით შემოდის არასამთავრობო ორგანიზაციების ე.წ. ენჯეოების ანგარიშზე, არ უნდა ვიცოდეთ ჩვენ და პირველ რიგში ხელისუფლებამ? პირველ ყოვლისა კი უშიშორების სამსახურმა? რატომ არის ბნელით მოცული უცხოური ვალუტის ნიაღვარი, რომელიც ჩვენი, დაუძინებელი მეგობარი“ სახელმწიფოდან მოედინება?

ამის გამოცნობას დიდი ჭკუა არ სჭირდება, რატომ მალევენ ამ ფულის მიმღებები უცხოეთიდან მომდინარე ,,დახმარებას“, ან რამ გააწიწმატათ ასე ის უცხოელი ,,ქველმოქმედი“ ბიძიები, ძნელი გასაგებია განა?

უხსოვარ დროს შეიქმნა ეს ანდაზა ,,ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო!“, საუკუნეთა განმავლობაში არც ქურდების ბუნება შეცვლილა და არც ხალხის დამოკიდებულება მათ მიმართ.

ქურდი ყაჩაღი და მოძალადე არ არის. ის კი არ ართმევს ადამიანს რაიმეს, არამედ იპარავს, ჩუმად სხვისგან შეუმჩნევლად. ამიტომ არის მისთვის სასურველი ბნელი ღამე ან ადამიანის დაბნელებული გონება.

მხოლოდ სააკაშვილმა მოინდომა ქურდებისა და ყაჩაღების გათანაბრება და კანონი მიიღო ქურდული ტრადიციების წინააღმდეგ. ამიტომ მისი რეჟიმი არ ერიდებოდა ,,გონივრული ეჭვის საფუძველზე ადამიანების დაპატიმრებას, ადამიანი თუ დაიბრალებდა, ქურდი ვარო, ამისათვის ციხეში სვმდნენ, არა და მთელმა ცივილიზებულმა კაცობრიობამ იცის სენტენცია: ,,თუ არ დაიჭირე, ქურდი არ არის!“ ანუ ფაქტზე თუ არ დაიჭირე, ქურდობის ფაქტზე არ წაასწარიო!

ჰო, და ეს გამჭვირვალობის კანონი უცხოეთიდან შემოსულ ფინანსებს გამჭვირვალეს გახდის, ანუ გაანათებს და მერე იმასაც მიადევნებს თვალს ,,ვინაც ჯერ არის“, სად რა და რამდენი დაიხარჯება. ეს კი სასიკვდილო საფრთხეს შეუქმნის იმას, ვინც ამ ,,შემოსავალს“ მალავს, ანუ ვის? ქურდებს.

გამოდის, რომ ისინი, რომლებიც ამ ,,ფინანსური ბნელეთის გამჭვირვალობის, ანუ განათების პროცესს ეწინააღმდეგება, ქურდია! ვისაც ლოგიკური აზროვნების უნარი არ დაუკარგავს, სხვა დასკვნას ვერ გააკეთებს!

თუმცა არსებობს სხვა დასკვნის გაკეთების საფუძველიც, ვინც ზემოაღნიშნულ ლოგიკას ვერ ხედავს, ის უიმედო სულელია!~

ახლა მე გავაკეთებ ასეთ დასკვნას და გამამტყუნეთ თუ შეგიძლიათ: ის პარლამენტარები, რომლებიც ამ კანონს ეწინააღმდეგებიან, ან ქურდები არიან ან სულელები, ასეთები პარლამენტის თითქმის ნახევარს შეადგენენ!

28 მაისს, საქართველოს ე.წ. პარლამენტის სასესიო სხდომაზე თითო ეპიზოდი გამახსენდა (ყველა ქურდი ან სულელი პარლამენტარის სიბრიყვეს ვერ გავიხსენებ). 90-იანი წლების დასაწყისში, ახლანდელი პარლამენტის წევრი, კარგი მწერლის შვილი, თვითონაც მწერლობის მოწადინე როსტომ ჩხეიძე თავგადაკლული მოითხოვდა გიორგი სააკაძის ძეგლების დანგრევას კასპსა და თბილისში, ჩემი მეგობარი სვიმონ გამსახურდია, ცნობილი ისტორიკოსი, იმის გარდა, რომ ბრწყინვალე წერილები გამოაქვეყნა როსტომ ჩხეიძის მკრეხელური და უვიცობით გაჟღენთილი წერილების წინააღმდეგ, ფიზიკურადაც უნდოდა, გასწორებოდა ამ ,,მწერალს“, მე გადავათქმევინე: მაგას რომ ხელი დაარტყა, აუცილებლად გაწვიმდება-მეთქი, ამას გარდა როსტომას გალახვას გმირობად არავინ ჩაგითვლის-მეთქი. 2) სააკაშვილის პარლამენტის წევრი დავით კირკიტაძეს პარლამენტის შესასვლელში ვახტზე მდგომმა პოლიციელმა საშვი მოსთხოვა, კირკიტაძემ კი, როგორ თუ საშვი მომთხოვეო, უსაშვოდ ვერ მიცნობთო და ხელი დაარტყა იმ პოლიციელს. პოლიციელმა თავი შეიკავა და ხელი არ შეუბრუნა არა და ვიცნობდი იმ ბიჭს, ჩხუბი ნამდვილად არ ეშლებოდა. ეს ამბავი საჯაროდ მოხდა და უხერხულობა შეიქმნა. ამიტომ, ეტყობა, კირკიტაძეს უთხრეს, ბოდიში მოუხადეო იმ პოლიციელს და ჩვენს პარტიას სახე არ დაუზიანოოო, კირკიტაძემ შეუსრულა შეფს თხოვნა თუ ბრძანება და ბოდიში მოუხადა იმ პოლიციელს, სააკაშვილმა დიდად დაუფასა ეს ბოდიში და განაცხადა, კირკიტაძემ ვაჟკაცურად მოუხადა ბოდიში პოლიციელს შეურაცხყოფისათვისო, ამიტომ გმირია კირკიტაძეო, ამასთან დაკავშირებით, ასეთი ფუნაგორია გამოვაქვეყნე:

,,მე იმ ქვეყანას რა ვუთხრა,
სადაც სიკეთე ძვირია,
ერეკლე მოღალატეა,
კირკიტაძე კი გმირია!“

პარლამენტის ეს სხდომა გაიმართა იმ მიზნით, რომ განხილული და დაძლეული ყოფილიყო პრეზიდენტის სამგლე (უჰ, სალომე!) ზურაბიშვილის მიერ კანონპროექტზე დადებული ვეტო - ვფიქრობდი ორიოდე სიტყვა მეთქვა ამ ვეტოზე, მაგრამ პრეზიდენტის ამ ვეტოურ მოსაზრებას რომ გავეცანი, მხოლოდ ერთი აზრი მომივიდა თავში, რომელიც ჩემზე ადრე და უკეთესად აინშტაინს მოუვიდა აზრად: ,,სამყაროს აქვს საზღვარი, ადამიანის სისულელე კი უსაზღვროა!“

ახლა კი უინსტონ ჩერჩილი უნდა შევაქო იმისათვის, რომ მან თქვა, დემოკრატია მმართველობის უსაზიზღრესი ფორმაა, ჩემი თავიც მინდა, შევაქო იმისათვის, რომ ამასწინათ გამოქვეყნებულ ჩემს ერთ პუბლიკაციას სათაურად, სწორედ, ჩერჩილის ზემოთმოყვანილი გამონათქვამი მივეცი.

დიდი კაცების ნათქვამი სიბრძნეები მარადიული ჭეშმარიტებაა.

ზურაბ ცუცქირიძე,
ყოველივე გაუმჭვირვალობის მტერი, არამკითხე მოამბეთა მიტყეპვის მოწადინე, კაცის კაცის არაკაცად ჩამთვლელი, მტრის მგმობი და მოყვრის მცოდნე

ხაშურში, ზემო სერის ტყე-პარკის მშენებლობა აქტიურად მიმდინარეობს. დასრულდა სამუშაოების მეორე ეტაპი და დაიწყო მესამე ეტაპი

სამუშაოების მიმდინარეობა მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა მოადგილეებთან, ზვიად ქურდაძესთან და ზვიად გოგუაძესთან ერთად დაათვალიერა.

„სამუშაოების პირველი ეტაპის ფარგლებში, მოეწყო გარე განათებები, ფანჩატურები, სარბენი და ველო ბილიკები, დამონტაჟდა სხვადასხვა ტიპის დასასვენებელი სკამები, მაგიდები და ნარჩენებისთვის განკუთვნილი urnები.



მიმდინარეობს ამფითეატრისა და სკეიტბორდის მოედნის მშენებლობა, შესასვლელი ტერიტორია და ბილიკებს შორის არსებული სივრცეები გავალამაზეთ დეკორატიული თეთრი ქვებით, პარკის შესასვლელში მოეწყო სველი წერტილი, რომელიც ადაპტირებულია შშმ პირებისთვის. მესამე ეტაპის ფარგლებში ეწყობა კალათბურთის, ჩოგბურთის და ფეხბურთის მოედნები, დამონტაჟდება გარე გამოყენების ტრენაჟორები და რაც მთავარია, იქნება სივრცე ხელმოწერის ცერემონიებისთვის. დაირგვება უამრავი მწვანე ნარგავი, რაც მეტ ხიბლს შემატებს აქაურობას,“-აღნიშნა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა სამუშაოების დათვალიერებისას.

პროექტს, ადგილობრივი მუნიციპალიტეტისა და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი ერთობლივად აფინანსებს.

პირველი ეტაპის სამუშაოების ღირებულებამ 803 897 ლარი შეადგინა, მეორე ეტაპის სამუშაოების ღირებულება 1 158 885 ლარი, ხოლო მესამე ეტაპის საერთო ღირებულება 849 202 ლარია.

ბიზნესმენები „ივერიას“ გვერდში უდგანან

წლევანდელი სეზონი ჩვენი საფეხბურთო გუნდის “ივერიისთვის” ისე დაიწყო, რომ მხოლოდ გადაჭარბებული ოპტიმიზმის მქონე გულშემატკივარი თუ იოცნებებდა. ჩვენი ბიჭები, პირდაპირი მნიშვნელობით, ქვას ქვაზე არ ტოვებდნენ და ჯგუფის ლიდერები ყოველგვარი დანაკარგის გარეშე არიან: რვა თამაში და რვა მოგება, თანაც ისე, იოტისოდენა ეჭვი არ გასჩენია არავის, რომ ყველა მოგება მათ ღირსეულად დაიმსახურეს და აშკარად დაჯაბნეს მეტოქეები.

ხაშურში რომ უყვართ ფეხბურთი, ეს გულშემატკივართა სიმრავლითაც დასტურდება. დასწრების მხრივ, ამ სიმრავლით, თვით უმაღლესი ლიგის გუნდებსაც კი ვუსწრებთ. ეს სიყვარული, რა თქმა უნდა, მთელი მუნიციპალიტეტის მასშტაბით ვრცელდება და აი, კიდევ მორიგი დასტური ამ ფაქტისა: 5 მაისს, “ივერიის” სტადიონზე, შეიკრიბნენ ადგილობრივი ბიზნესმენები, რომელთაც გადაწყვიტეს, გვერდში დაუდგნენ ჩვენს საყვარელ გუნდს. ეს თანადგომა ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა ვემსახუროთ თითოეული ჩვენგანი ჩვენს მშობლიურ კუთხეს თუ ქალაქს და მთლიანად საქართველოს. შეხვედრაზე, რომელსაც უძღვებოდა მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი, აღინიშნა, რომ ბიზნესმენების თანადგომა და ფინანსური მხარდაჭერა, იმედია გარანტი გახდება, რომ “ივერია” ასეთივე წარმატებით ჩაამთავრებს სეზონს და მაღალ ჯგუფში დაწინაურდება. მერმა მადლობა გადაუხადა ბიზნესმენებს ასეთი თანადგომისათვის.

გულშემატკივრების სახელით, რომელიც ათასობითაა, ასევე, გვინდა, ჩვენც მადლობა ვუთხრათ ამ საოცარ ხალხს, რომელთა ძალისხმევითაც “ივერია” აუცილებლად გაბრწყინდება.

გ. გოგალაძე

ირეალური ინტერვიუ ილია ჭავჭავაძესთან

თერგდალეულები, განმანათლებლები, ილია ჭავჭავაძე ... ყველა დროისათვის, ყველა ეპოქისათვის, ყველა თაობისათვის აქტუალური და ფასდაუდებელი ცნებები და პერსონებია. ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებები, პუბლიცისტიკა, ღვაწლი, პროგრესულობა და თანამედროვეობა უამრავი ადამიანისათვის დღესაც ინტერესის და კვლევის საგანია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ყურადსაღებია ახალგაზრდების დაინტერესება ამ უდიდესი მამულიშვილითა და დიდი შემოქმედით. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი **ნია ნიჟარაძე** მკითხველს სთავაზობს ინტერვიუს ილია ჭავჭავაძესთან, მისთვის საოცნებო ირეალურ რესპონდენტთან.

- მოგესალმებით! მე ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტი გახლავართ, ნია ნიჟარაძე. გულწრფელი მადლობა მინდა გადაგიხადოთ, რომ ჩემთან ინტერვიუს დათანხმდით. ეს უდიდესი პატივია. არ გადავაჭარბებ თუ ვიტყვი, რომ ჩემთვის და ჩემი თანატოლებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია თქვენი შემოქმედება და მოღვაწეობა. დღეს კი მინდა ხაშურში მოგიწვიოთ, ქალაქში, სადაც გავიზარდე და პირველად გავეცანი თქვენს შემოქმედებას. გთხოვთ წამობრძანდით, ერთად გავისეირნოთ.

- მოგესალმებით! მადლობას მოგახსენებთ მოწვევისთის და ამ საინტერესო ქალაქის ჩემთვის ახლოდან გაცნობისთვის. მოხარული ვარ, თუ ახალგაზრდობა სწორად იგებს ჩემს შემოქმედებას და საქმეს. სწორედ ეს იყო ჩემი მიზანი.

- მაშ დავიწყოთ. ახლა ჩვენ ხაშურის რკინიგზის სადგურში ვიმყოფებით. ის მეოცე საუკუნეშია აშენებული. ეს აგურის კედლები და ლიანდაგები ერთი შეხედვით, თავს ისევ წარსულში გვაგრძნობინებს, თითქოს აქ დრო გაჩერდა და არაფერი შეცვლილა. აქ იმიტომ ვართ, რომ წარსულის გარეშე აწმყოზე საუბარი არ მინდოდა. ამიტომ მოგიყვანეთ აქ და ჩემი პირველი კითხვაც წარსულს ეხება. ბოლოს რომ სამყაროს მიწიდან უყურებდით 1907 წელი იყო. ახლა აქ რომ დაბრუნდით, 2024 წელს, როგორ ფიქრობთ, ჩვენც ამ სადგურის მსგავსად დრომ ჩაგვყლაპა და გაგვაშეშა? თუ გავექეცით მის კლანჭებს და წინ წავედით. როგორ გგონიათ, გავექეცით წარსულის ბოროტებებს? დავაღწიეთ თავი ოქროს ჯაჭვს?

- ეს სადგური მართლაც იმ დროს მახსენებს. არ მინდა ვთქვა, რომ წარსული სრულიად ბოროტებით იყო სავსე. როგორც ამ სადგურს, წარსულსაც აქვს თავისებური სილამაზე. ეშხი ვუწუდოთ თუნდაც. შესაძლოა აქა-იქ ქვაფენილი გაცვდა ან გატყდა, მაგრამ თავის საქმეს ხომ მაინც ასრულებს? ხომ ერთგულად ემსახურება მგზავრებს. ასეა წარსულიც. აქვს ორი მხარე. ერთი გვტკენს, მეორეთი კი ვამაყობთ. საქმე ისაა, რომ წარსულს ვერ გავექცევით და ვერ დავემალებით, ამიტომ პირისპირ უნდა შევხვდეთ მას და კარგადაც შევათვალიეროთ. განა რას დავკარგავთ ამით? მთავარია აწმყო არ დავივიწყოთ. იმის თქმა კი ნამდვილად შემიძლია, რომ ახლანდელმა თაობამ არც წარსული დაივიწყა და აწმყოსაც არ ღალატობს. ის ბოროტება, რაც მაშინ იყო გაბატონებული ერში და ნელ-ნელა აბრმავებდა მას, ახლა ვეღარ ახერხებს ამას. დასუსტდა.

- ბოდიშს გიხდით. იქნებ დაზუსტებით მითხრათ რა ბოროტებაზეა საუბარი?

- რა თმქა უნდა. ვსაუბრობ ჩვენს მტერზე, რუსეთზე. ვნახეთ როგორ მოიგერიეთ, ახალგაზრდებმა და არა მარტო ახალგაზრდებმა, მათგან მოქნეული ოქროს ჯაჭვი მრავალჯერ . ამაში წვლილი წარსულის ცოდნასაც მიუძღვის. ამიტომ მთლად ნუ აქცევთ ზურგს წარსულს, ისწავლეთ წინაპართა დაშვებულ შეცდომებზე, რომ აწმყო უკეთესი იყოს. ეს უნდა ასწავლოთ თქვენს შთამომავლებსაც.

- მადლობა ამ სასიამოვნო პასუხისთვის. გავაგრძელოთ გზა. აი, ეს არის სკოლა, სადაც მე ვსწავლობდი, არცთუ ისე დიდი ხნის წინ. სიმწარეც ბევრი მახსოვს და სიტკბოც. მეც ლუარსაბივით ეშმაკისა მეგონა წიგნი, მაგრამ აქ მასწავლეს, რომ ვცდებოდი. ბოდიში, თემიდან გადავუხვიე. ამ სკოლის ისტორიას გიამბობთ. არც ეს შენობაა ახალგაზრდა. მრავალი უბედურება გადაიტანა, არაერთხელ დაიწვა, მაგრამ მაინც არ დაეცა. გავკადნიერდები და ჩვენს ქვეყანას შევადარებ. ვინ მოთვლის რამდენჯერ გადაგვწვეს, მაგრამ მაინც აქ ვართ. ისევ აქ ვართ და მგონი, რომ არსად წასვლას არ ვაპირებთ. თქვენს ყურადღებას სკოლის შესასვლელთან დაკიდებულ დროშებზე გადავიტან. საქართველოს დროშასთან ერთად, რომელიც ამაყად ფრიალებს, დაინახავთ, რომ ევროკავშირის დროშაცაა აფრიალებული. ძმურად ყოველ დილით, ერთად ეგებებიან ბავშვებს. ჩემი კითხვა კი სწორედ ამას ეხება, როგორ ფიქრობთ სწორ გზაზე ვდგავართ? ეს იყო თქვენი მიზანიც?

- როგორც თავად ახსენე, ძმურად ეგებებიან ერს. თუ ერთად დგომა ნიშნავს სიძლიერეს და არა მორჩილებას, მაშინ სწორი გზა აურჩევია ქართველ ხალხს. თუ ეს ლურჯი დროშა გვერდით ედგება და არ გადაფარავს ჩვენს თეთრსა და წითელს, მაშინ ჩემი მიზანიც ეს იყო. თუ ის გზა, რომელსაც ადგას ერი, არ გადაუხვევს ეროვნული გზიდან, თან წაიყოლებს ეროვნულ სიწმინდეს, მაშინ ეს გზა ყოფილა სწორი. რა შემიძლია ვთქვა მეტი, გარდა იმისა, რომ ქართველმა კაცმა ეს დაიმსახურა. დიახ, ჩემი მიზანი ეს იყო. თავისუფლებისთვის თავგანწირული ბრძოლა. კარგად ვხედავ, რომ დღევანდელ ქართველსაც ეს უქცევია საკუთარ მიზნად.

- მადლობა. ცოტა შორსაც წავიდეთ. აი ტყეც გამოჩნდა. ნამდვილად ჩვენი საგანძურია ეს ტყე. ცოტა ზევით ავიდეთ, მინდა რაღაც გაჩვენოთ. აი, ცოტა მარჯვნივ თუ გაიხედავთ შენიშნავთ საფლავებს. საფლავებს, რომლებიც ტყეს ერწყმის. ესაა ყველა სულიერის ბოლო გზა. მაგრამ ამ გზისთვის მზად მგონი არავინაა. ვიცით, რომ ამას ვერავინ გაექცევა, მაგრამ მაინც ვცდილობთ. სიკვდილს სულიერებით გავურბივართ. ვიცით, რომ სული უკვდავია. ამისი ნათელი მაგალითი თქვენ ხართ. მაგრამ ზოგჯერ არც ესაა მანუგეშებელი. მაინც ვნატრობთ ცოდვილ სიცოცხლეს. ჩემი ბოლო კითხვა ესაა- გვაპატიეთ ნასროლი ტყვია? ტყვია, რომელმაც წაგართვათ მიწიერი ცხოვრება, მიზნები, რომლების შესრულებაც არ დაგცალდათ.

- ”მიუტევე, რამეთუ არ იციან”- თავად ღმერთმა ბრძანა ეს და ვინ ვარ მე, რომ არ მეპატიებინა. შესაძლოა ტყვიამ დაასრულა ჩემი სიოცოცხლე, შესაძლოა ვერ განვახორციელე თავად ყველა მიზანი, მაგრამ დავტოვე კვალი. ახლა ვხედავ და ძალიან მახარებს ის ფაქტი, რომ საქმე, რომელიც მე ვერ მივიყვანე ბოლომდე, ჩემს შემდეგ თაობას შეუსრულებია. ერი თავისუფალია. ენა შენარჩუნებულია. რწმენაც გვაქვს. ჩემს სიცოცხლეს ფასი ჰქონია. ტყვია, რომელიც ჩემთვის გაიმეტეს არ აღმოჩნდა საბედისწერო. ეს გამარჯვება იყო ჩვენი.

- მინდა ძალიან დიდი მადლობა გადაგიხადოთ. ეს პასუხები ძალიან ბევრს ნიშნავს ჩემთვის და ყველა ქართველისთვის. მიხარია თუ შევძელით და იმედები არ გაგიცრუეთ. სათქმელი და საკითხავი კი ბევრია, მაგრამ ახლა დროა უკან დავბრუნდეთ. ნელი ნაბიჯით გავუყვეთ გზას რეალობისკენ.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.